სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22/08/2025

MES 4 25 0001015087

ბრძანება

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ", ,,მ" და ,,ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2025 წლის 18 აგვისტოს №994009 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 სექტემბრიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული

დანართი

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი ადგენს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომ - დარგობრივი მახასიათებელი) შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების სახელმძღვანელო პრინციპებს, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების (შემდგომ - საბჭო), უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფების (შემდგომ - სამუშაო ჯგუფი) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლებს.

მუხლი 2. დარგობრივი მახასიათებელი და მისი შემუშავების საფუძვლები

1. დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.
2. დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (შემდგომ - ჩარჩო) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს (შემდგომ - კლასიფიკატორი), უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს.
3. დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, ასევე, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, განსაზღვრავს და ავითარებს აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს.
4. დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება ხორციელდება უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერებს. დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვრება სწავლის

სფეროსა და კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი დონის მინიმალური სავალდებულო სწავლის შედეგები.

5. სწავლის სფეროებში, რომელთათვისაც არ არის შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლები, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, გამოიყენება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერები.

მუხლი 3. დარგობრივი მახასიათებლის მიზნები

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია:

ა) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება, განვითარების პროცესის ხელშეწყობა;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების სწავლის სფეროს მიხედვით ფორმირების ხელშეწყობა;

დ) კონკრეტული სწავლის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური სტანდარტების შესახებ აკადემიური საზოგადოების უმრავლესობის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ე) სწავლის სფეროს აღწერა და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამისა და კვალიფიკაციის პროფილ(ებ)ის წარმოჩენა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულირებადი პროფესიებისათვის, ასევე, საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი პროფესიებისთვის, აუცილებელი სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, რომლებიც მოეთხოვება შესაბამისი რეგულირებადი პროფესიის მქონე პირს;

ზ) ერთსა და იმავე სწავლის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნების, მოქნილობის ხელშეწყობა და აკადემიური საზოგადოების მიერ შეთანხმებული ხედვის ფარგლებში ინოვაციური მიდგომების განვითარება;

თ) ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. დარგობრივი მახასიათებლის სტრუქტურა და შინაარსი

1. დარგობრივ მახასიათებელს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

ა) თავფურცელი;

ბ) სარჩევი;

გ) შესავალი;

დ) სწავლის სფეროს აღწერა;

ე) სწავლის შედეგები;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები;
ზ) სწავლება, სწავლა და შეფასება;
თ) დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში);
ი) დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები.
2. თავფურცელი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
ა) დარგობრივი მახასიათებლის დასახელება;
ბ) უმაღლესი განათლების საფეხური/საფეხურები;
გ) მიღების/განახლების თარიღი.
3. სარჩევში აისახება დოკუმენტის ყველა თავი და ქვეთავი.
4. შესავლის ნაწილში აისახება:
ა) შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის აღწერა;
ბ) დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მიზანი;
გ) ვინ შეიძლება გამოიყენოს მახასიათებელი/მისი გამოყენების შესაძლებლობები;
დ) უმაღლესი განათლების საფეხური და სწავლის სფერო, რომელსაც ეხება მახასიათებელი; დოკუმენტის კონკრეტული მიზანი და მოკლე მიმოხილვა;
ე) დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების ან განახლების საფუძველი;
ვ) განახლებული დარგობრივი მახასიათებლის შემთხვევაში, განხორციელებული ცვლილებების მოკლე აღწერა და ანალიზი;
ზ) დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა.
5. სწავლის სფეროს აღწერაში აისახება:
ა) სწავლის სფეროს მოკლე აღწერა, მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები; საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და ძირითადი მახასიათებლები;
ბ) არსებობის შემთხვევაში, სწავლის სფეროები (და არა სასწავლო კურსები ან მოდულები), რომლებსაც მოიცავს ეს სფერო ან კავშირი სხვა დარგ(ებ)თან. შესაძლებელია სფეროს/სფეროების კოდის/კოდების მითითება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე (დეტალური სფეროს 4-ციფრიანი კოდი);
გ) რეგულირებადი პროგრამების ან/და პროფესიების შემთხვევაში, ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული რეგულაციებისა და დასაქმებასთან კავშირის თაობაზე მითითება (პროგრამაზე დაშვების პირობა, პროფესიაში შესვლის პირობა).
6. სწავლის შედეგებში აისახება:
ა) სწავლის შედეგები, რომელიც განისაზღვრება უმაღლესი განათლების კონკრეტული საფეხურის და დონის გათვალისწინებით. იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონის აღმწერთან;
ბ) კონკრეტულ სწავლის სფეროში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სტანდარტი, რომელიც არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს;
გ) საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებადი პროფესიებისთვის, ასევე, საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი პროფესიებისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები, რომლებიც მოეთხოვება შესაბამისი რეგულირებადი პროფესიის მქონე პირს;
დ) სწავლის სფეროს ცოდნა-გაცნობიერება და უნარები (მათ შორის, ტრანსფერული უნარები), პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, როგორც ცოდნისა და უნარების ავტონომიურად და პასუხისმგებლობით გამოყენება.

ე) სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ან/და რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შემუშავებულ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში შესაძლებელია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს განსხვავებული ფორმატით, რომელშიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერების შესაბამის სწავლის შედეგებთან ერთად, შესაძლებელია მითითებული იყოს მოცემული სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ან/და აქტივობები, ან/და საჭიროებისამებრ, სხვა დამატებითი მითითებები.

7. მისანიჭებელ კვალიფიკაციაში/კვალიფიკაციებში აისახება:

ა) მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყველა შესაძლო ფორმულირებით ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) განსხვავება კვალიფიკაციებს შორის და კავშირი სწავლის შედეგებთან, თუ კლასიფიკატორი ითვალისწინებს სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ერთზე მეტ ფორმულირებას.

8. სწავლება, სწავლა და შეფასებაში აისახება:

ა) სწავლება, სწავლა და შეფასების მიდგომები, ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა მიზანია საგანმანათლებლო პროგრამაში სფეროსთვის მნიშვნელოვანი სწავლება სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა, პროგრამის განხორციელების მრავალფეროვნებისა და ინოვაციების ჩამოყალიბების შესაძლებლობა;

ბ) რეგულირებადი პროფესიებისათვის (საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო მარეგულირებლების მიერ დადგენილი რეგულაციებით) სწავლება, სწავლა და შეფასების კონკრეტული და რიგ შემთხვევაში - სავალდებულო მეთოდები.

9. დამატებით ინფორმაციაში მიეთითება:

ადამიანური რესურსისთვის დადგენილი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი და აღწერილობა. ასევე, დამატებითი ინფორმაციის ნაწილში, ზუსტდება ინფორმაცია მარეგულირებლის, რეგულირებადი პროფესიის პროფესიული სტანდარტის, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ.

10. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრებში მიეთითება:

საბჭოს წევრების და არსებობის შემთხვევაში გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/სამუშაო ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია/დაწესებულება, თანამდებობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული ასოციაციების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობასთან, პროფესიულ გაერთიანებასთან და შესაბამის სფეროში საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა რეგალიები.

მუხლი 5. ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისა და არსებული დარგობრივი მახასიათებლების განახლების ინიცირება

1. ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების ინიცირება შეუძლია:

ა) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომ - ცენტრი);

ბ) გარე ინიციატორს, რომელიც:

ბ.ა) სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ სწავლის სფეროში დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მიზნით, ცენტრში წარადგენს განცხადებას ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად, ანალიზის დოკუმენტს ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად და დარგობრივი მახასიათებლის პროექტს ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად;

ბ.ბ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დამატების მიზნით, ცენტრში წარადგენს განცხადებას ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად და დარგობრივი მახასიათებლის პროექტს ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობა და უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს ან/და შესაბამისი დარგის ან/და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს, ასევე აუცილებელია განცხადებაში მითითებული იყოს სფეროს დამატებასთან/შეცვლასთან/ამოღებასთან/გაერთიანებასთან/გაყოფასთან/ტექნიკური ხასიათის ცვლილებასთან/ტექნიკური უზუსტობის გასწორებასთან დაკავშირებით სფეროს მარეგულირებელ შესაბამისი უწყებების/ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გაცემული წერილობითი პოზიცია.

2. არსებული დარგობრივი მახასიათებლის განახლების ინიცირება შეუძლია:

ა) ცენტრს:

ა.ა) დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 1 წლით ადრე;

ა.ბ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ცვლილების, ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტებისა და საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე მახასიათებლის მოქმედების ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს.

ბ) შესაბამისი მიმართულების საბჭოს.

გ) გარე ინიციატორს, რომელიც:

გ.ა) ცენტრში წარმოადგენს განცხადებას ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად, არგუმენტირებულ წერილს დარგობრივი მახასიათებლის განახლების აუცილებლობის თაობაზე და შესაბამის დარგობრივ მახასიათებელში ცვლილებების შეტანისთვის, განახლებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტს.

გ.ბ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, სწავლის სფეროს ცვლილებების განხორციელების მიზნით, ცენტრში შესაბამისი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით წარადგენს დასაბუთებულ განცხადებას და განახლებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტს.

3. გარე ინიციატორის მიერ წარმოდგენილი განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი ადგენს დოკუმენტების ფორმალურ შესაბამისობას ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს გამოსასწორებლად განუსაზღვრავს ვადას არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. ცენტრი უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით ერთჯერადად გაუგრძელოს

დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 6. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავების, განხილვის, განახლების, ცვლილებისა და დამტკიცების წესი

1. დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესში, ჩართულობის ფორმებია:
ა) საბჭოს წევრობა;
ბ) სამუშაო ჯგუფის წევრობა;
გ) საჯარო განხილვის პროცესში მონაწილეობის მიღება
დ) საჭიროების შემთხვევაში სფეროს/დარგის ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტის/ექსპერტების ჩართულობა.
2. საბჭო შეიმუშავებს დარგობრივი მახასიათებლის პროექტს, ასევე განიხილავს გარე ინიციატორის ან სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილ პროექტს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში და რეკომენდაციას აძლევს ცენტრის დირექტორს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების თაობაზე.
3. საბჭოს დამტკიცების შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საბჭო ასევე უფლებამოსილია შეიმუშაოს სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სხვადასხვა სახის კონცეპტუალური დოკუმენტი ან/და გზამკვლევი ან/და სახელმძღვანელო ან/და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი.
4. პროექტის შემუშავება ხდება წინამდებარე წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის ანალიზისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.
5. გარე ინიციატორისა და სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილი პროექტის განხილვისას საბჭო ადგენს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების, სწავლის სფეროების და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და დარგში არსებულ რეგულაციებთან.
6. საბჭოს მიერ შემუშავებული, ასევე სამუშაო ჯგუფის ან გარე ინიციატორის მიერ წარდგენილი პროექტი, საბჭოს მიერ განხილვის შემდგომ ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარო განხილვისთვის. განსახილველ დოკუმენტ(ებ)თან ერთად, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მიერ განთავსდება საჯარო განხილვის სხდომაში მონაწილეობის მსურველთა ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც აისახება დაინტერესებული პირის საკონტაქტო ინფორმაცია და შენიშვნა/რეკომენდაციები დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით.

7. დარგობრივი მახასიათებლის პროექტი წინადადებების მიღების მიზნით არანაკლებ 14 კალენდარული დღის მანძილზე ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. წინადადებების მიღების დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში ინიშნება საჯარო განხილვა. დეტალური ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე ეგზავნება ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმით რეგისტრირებულ დაინტერესებულ პირს/პირებს. საჯარო განხილვა შესაძლებელია გაიმართოს პირისპირ ან/და დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8. დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით აღნიშნული პროექტის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან წინადადებების მიღების ვადის ამოწურვამდე პერიოდში. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესახებ წინადადებების წარმოდგენის ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური საბჭოს წევრებს უგზავნის დარგობრივი მახასიათებლის პროექტთან დაკავშირებით შემოსულ შენიშვნებს/ რეკომენდაციებს.

9. საჯარო განხილვის შემდგომ საბჭო საჭიროებისამებრ გადაამუშავებს დარგობრივ მახასიათებელს. სამუშაო ჯგუფი/გარე ინიციატორი საჯარო განხილვის შემდეგ საჭიროებისამებრ გადამუშავებული მახასიათებლის პროექტს განსახილველად წარუდგენს საბჭოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-9 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს ცენტრის დირექტორს. იმ შემთხვევაში თუ საჯარო განხილვის შედეგად დოკუმენტში არ განხორციელდება არსებითი ხასიათის ცვლილებები, საბჭო უფლებამოსილია იმავე სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტის დამტკიცების/ვადის გაგრძელების/ ცვლილების შეტანის/გაუქმების მიზნით ცენტრის დირექტორისთვის რეკომენდაციის გაცემის შესახებ.

10. შესაბამისი საბჭოს ან საბჭოს წევრის ან ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მიერ პროექტის გადახედვის აუცილებლობის დასაბუთების შემთხვევაში, პროექტის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით, ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით იწვევს სფეროს ადგილობრივ ან საერთაშორისო გარე ექსპერტს/ექსპერტებს, რომელიც არ იყო ჩართული დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე მუშაობის პროცესში.

11. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს დარგობრივი მახასიათებელი ან ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს დარგობრივი მახასიათებლის პროექტი საბჭოს.

12. ცენტრი უფლებამოსილია საკუთარი ინიცირებით ან დარგის წარმომადგენლების მომართვის საფუძველზე შეიტანოს ცვლილება დარგობრივ მახასიათებელში საბჭოს მოწვევის გარეშე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებლის განახლება გამოწვეულია ტერმინოლოგიური, ტექნიკური ან/და ისეთი საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც არ ცვლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებამოსილი საბჭოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

განმახორციელებელი დაწესებულებების წერილობით ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
13. შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, დოკუმენტის საჯარო განხილვისთვის ცენტრის ვებგვერდზე განთავსების გარეშე შეიტანოს ცვლილება დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში თუ ცვლილება მიზნად ისახავს მოქმედი პრაქტიკის ასახვას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გამოკვეთილი საკითხების დაზუსტების, სხვადასხვა მარეგულირებელი უწყების მომართვის საფუძველზე ცვლილების განხორციელებას ან/და სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერის დამატებას. ამ შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წერილობით ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
14. შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განისაზღვრება 7 წელი, აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს შესაბამისი ინიცირების ან/და დასაბუთების საფუძველზე დარგობრივი მახასიათებლის ვადაზე ადრე განახლებას.
15. მიღებული დოკუმენტი ქვეყნდება საჯაროდ ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ეგზავნება საბჭოს/სამუშაო ჯგუფის წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებულია/განახლებულია გარე ინიცირების ფარგლებში, ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.

მუხლი 7. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

1. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას საბჭოები, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილი ვიწრო ან დეტალური სფეროების, ან დეტალურ სფეროში შემავალი სწავლის სფეროების მიხედვით. ამასთან, საბჭოს შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს საბჭოს საქმიანობა სხვადასხვა დეტალური სწავლის სფეროს ფარგლებში. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ვიწრო ან დეტალური სწავლის სფეროს წარმომადგენელი/წარმომადგენლები. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სწავლის სფეროს დამატების მიზნებისთვის, შესაძლებელია საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მომიჯნავე ვიწრო და დეტალური სწავლის სფეროს წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
2. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარმოდგენის მიზნით დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ამ წესის დანართი N4-ის შესაბამისად შევსებული ფორმა და კანდიდატის განახლებული პროფესიული ბიოგრაფია/CV.
3. საბჭოს შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და უფლებამოსილების ვადა ან/და საბჭოს დამატებითი

ფუნქციები საჭიროებისამებრ. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

4. საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმების დაცვა:

ა) დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისათვის წარმოდგენილი კანდიდატების აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ფართო სპექტრის (სახელმწიფოს და კერძო სუბიექტის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების თანაფარდობა, დაწესებულებების ადგილმდებარეობა, დაწესებულების სტატუსი და სახე) დაფარვა;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამის ვიწრო ან დეტალურ სფეროში უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება;

დ) შრომის ბაზრის წარმომადგენლების ფართო ჩართულობა.

5. საბჭოს შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა) აკადემიური თანამდებობის მქონე პირები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მოწვეული ან/და ადმინისტრაციული პერსონალი;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები;

გ) დარგობრივი სამინისტროს/სამინისტროების წარმომადგენელები, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამისი მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

დ) დარგობრივი ასოციაციის წევრები;

ე) დამსაქმებელთა გაერთიანების წარმომადგენლები/დამსაქმებელთა წარმომადგენელი; რეგულირებადი პროფესიების მარეგულირებელი უწყების/უწყებების წარმომადგენლები;

ვ) ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები;

ზ) შესაბამის დარგში/სფეროში მოქმედი საერთაშორისო ან/და არასამთავრობო ორგანიზაციები.

6. საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და სამეცნიერო კვლევითი ინტიტუტიდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნას:

ა) აკადემიური ნიშნით არჩეულ კანდიდატს უნდა ჰქონდეს არანაკლებ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (სფეროს/დეტალური სფეროს სპეციფიკის

გათვალისწინებით შესაძლებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი), სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და აკმაყოფილებდეს ერთ-ერთი ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნას:

ა.ა) საგანმანათლებლო, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ან/და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობის დამადასტურებელი აქტივობა (მაგალითად, სამეცნიერო პუბლიკაციები, გამოგონებები და სხვ.);

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

ბ) პროფესიული ნიშნით შერჩეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნას:

ბ.ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწვეული პერსონალი - ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით ან/და სპეციალური მომზადებით;

ბ.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი (მაგ.: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი) - ამ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში ან/და პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

7. პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრების ოდენობა საბჭოს დამტკიცების მომენტისთვის არ უნდა აღემატებოდეს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის 1/4-ს.

8. საბჭოს წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია: დარგობრივი სამინისტროდან, დარგობრივი ასოციაციიდან, დამსაქმებელთა გაერთიანებიდან, რეგულირებადი პროფესიის მარეგულირებელი უწყებიდან, შესაბამის სფეროში ოპერირებადი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. ამასთან, ვიწრო/დეტალური სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა;

ბ) შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი თანამშრომლის სტატუსის ქონა.

9. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარმოდგენის მიზნით დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ამ წესის დანართი N4-ის შესაბამისად შევსებული ფორმა და კანდიდატის განახლებული პროფესიული ბიოგრაფია/CV.

მუხლი 8. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ზედიზედ 3 სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა, რაც აფერხებს საბჭოს ეფექტურ მუშაობას;
ბ) ეთიკის შემდეგი პრინციპების და წესების დაუცველობა:
ბ.ა) საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;
ბ.ბ) საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი და უნდა უზრუნველყოს საკუთარი ფუნქციის შესრულება პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით;
ბ.გ) საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროოს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია, ან/და დოკუმენტაცია;
ბ.დ) საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს საბჭოს სხვა წევრის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, ცენტრის თანამშრომლის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას.
გ) პირადი განცხადება;
დ) საბჭოს წევრის წარმდგენ დაწესებულებაში დასაქმებულის სტატუსის შეწყვეტა თუ აღნიშნულის შესახებ ცენტრისთვის ცნობილი გახდა თავად საბჭოს წევრის ან მისი წარმდგენი დაწესებულების მიერ;
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა;
ვ) საბჭოს წევრის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
ზ) გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 9. სამუშაო ჯგუფის შექმნა

1. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის ფუნქციაა საბჭოს დახმარება დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში ან დარგობრივი მახასიათებლის დამოუკიდებლად შემუშავება და საბჭოსთვის განსახილველად წარდგენა.
2. სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატის წარმოდგენის მიზნით, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ამ წესის დანართი N4-ის შესაბამისად შევსებული ფორმა და კანდიდატის განახლებული პროფესიული ბიოგრაფია/CV.
3. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ჯგუფის შემადგენლობა, თავმჯდომარე და უფლებამოსილების ვადა.

4. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა) აკადემიური თანამდებობის მქონე პირები;

ბ) შესაბამისი სფეროში განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მოწვეული ან/და ადმინისტრაციული პერსონალი (ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირები) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;

გ) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები;

დ) დარგობრივი სამინისტროს/სამინისტროების წარმომადგენლები;

ე) დარგობრივი ასოციაციის წევრები;

ვ) დამსაქმებელთა გაერთიანების წარმომადგენლები/დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ზ)რეგულირებადი პროფესიების მარეგულირებელი უწყების/უწყებების წარმომადგენლები;

თ) საბჭოს წევრების არაუმეტეს 1/3;

ი) ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრები.

5. სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და სამეცნიერო კვლევითი ინტიტუტიდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) აკადემიური ნიშნით არჩეულ კანდიდატს უნდა ჰქონდეს არანაკლებ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (სფეროს/დეტალური სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი), სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და აკმაყოფილებდეს ერთ-ერთი ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნას:

ა.ა) საგანმანათლებლო, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ან/და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობის დამადასტურებელი აქტივობა (მაგალითად, სამეცნიერო პუბლიკაციები, გამოგონებები და სხვ.);

ა.ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

ბ) პროფესიული ნიშნით შერჩეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნას:

ბ.ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწვეული პერსონალი - ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით ან/და სპეციალური მომზადებით;

ბ.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი (მაგ.: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი) - ამ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში ან/და პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

6. სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილია დარგობრივი სამინისტროდან, დარგობრივი ასოციაციიდან, დამსაქმებელთა გაერთიანებიდან, რეგულირებადი პროფესიის მარეგულირებელი უწყებიდან, შესაბამის სფეროში

ოპერირებადი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა. ამასთან, ვიწრო სფეროს/დეტალური სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა;

ბ) შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) სამუშაო ჯგუფის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი თანამშრომლის სტატუსის ქონა.

7. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური.

მუხლი 10. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახური.

2. საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ამასთან, საბჭოს სხდომა შესაძლებელია განხორციელდეს სრულად დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4. საბჭოს სხდომები ღიაა. სხდომის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე სხდომამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღისა. საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაძლებელია დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ განხილვაში შესაბამისი სფეროს სხვა ექსპერტის, პროფესიული ორგანიზაციის წევრის, სფეროს სპეციალისტისა და სხვა პირთა მოწვევა.

5. სხდომას იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, დამსწრე/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრება საბჭოს წევრებიდან ერთერთი.

6. საბჭოს მდივანი ადგენს:

ა) საბჭოს სხდომის ოქმს, რომელშიც აისახება გადაწყვეტილება პროექტის საჯარო განხილვაზე გატანის შესახებ;

ბ) საბჭოს (საჯარო განხილვის) ოქმს, რომელშიც აისახება საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები;

გ) საბჭოს შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აისახება დარგობრივი მახასიათებელზე მუშაობის პროცესი და ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

7. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

8. საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს.

9. საბჭოს წევრს ხმის მიცემის პროცედურის დროს არ აქვს ხმის დაფიქსირებისგან თავის შეკავების უფლება.

10. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს წევრი ამასთანავე არის სამუშაო ჯგუფის წევრი ან/და გარე ინიცირების ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავების პროცესში ჩართული პირი, ის ერთვება დისკუსიაში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

11. საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დადებითი რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების თაობაზე;

ბ) უარყოფითი რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების თაობაზე;

გ) რეკომენდაცია დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის ვადის გაგრძელების თაობაზე;

დ) დადებითი რეკომენდაცია დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ე) უარყოფითი რეკომენდაცია დარგობრივ მახასიათებელში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ვ) რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლის გაუქმების შესახებ.

12. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა/სხდომაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს. ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც.

13. საბჭოს სხდომის ოქმი მასზე საბჭოს თავმჯდომარის ან/და მდივნის კვალიფიციური ხელმოწერით ან/და მის შინაარსზე წერილობითი დასტური ამ წესის დანართი N5-ის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ იგზავნება ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის ოფიციალურ ელ. ფოსტის მისამართზე: gnqf@eqe.ge. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს აღნიშნული დასტურის წერილების ეკრანის ანაბეჭდების დართვას ოქმზე.

14. ამ მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“-,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ოქმები ფორმდება შესაბამისი ეტაპის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

დანართი N1

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

მოქალაქე/ორგანიზაცია:

(განმცხადებლის პირადი N)[1] _____

მისამართი:

საკონტაქტო ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

განცხადება

_____

_____

(მოთხოვნის საგანი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

<u>დანართები:</u>

(განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა)

განმცხადებლის ხელმოწერა: თარიღი:

ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება[2]

---

[1] განცხადებას თანდართულ ფაილად უნდა დაურთოთ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

[2] ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარე ინიციატორი ცენტრში წარადგენს განცხადებას სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დამატების მიზნით.

ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს საერთაშორისო გამოცდილების (შესაბამისი სფეროს არანაკლებ სამი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების) ანალიზს და შესაბამისი სწავლის სფეროს ან/და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულის გარდა დასაბუთება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ახალი დეტალური სწავლის სფეროს დასახელება
2. დეტალური სწავლის სფეროს 4 ციფრიანი კოდი (კლასიფიკატორის/ISCED-F-ის მიხედვით)
3. სწავლის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელება
4. ჩამოთვალეთ შემოთავაზებული/ახალი დეტალური სწავლის სფეროს მონათესავე/მოკავშირე სამი დეტალური სწავლის სფერო და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები
5. დაასაბუთეთ რატომაა არსებული დეტალური სწავლის სფეროები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები არასაკმარისი ან/და არაადეკვატური, რაც იწვევს ახალი დეტალური სწავლის სფეროს, საგანმანათლებლო პროგრამისა და კვალიფიკაციის შემოღების აუცილებლობას
6. ზემოაღნიშნულ ინიციატივასთან (ახალი დეტალური სწავლის სფეროს საჭიროება) დაკავშირებით რომელ რელევანტურ დაინტერესებულ მხარესთან (მარეგულირებელი უწყება, დამსაქმებელი, დამსაქმებელთა ან/და დარგობრივი ასოციაცია (არსებობის შემთხვევაში), აკადემიური პერსონალი და სხვა) განხორციელებული კონსულტაციები და როგორია კონსულტაციის შედეგები. ასევე, აუცილებელია განცხადებაში მითითებული იყოს სფეროს დამატებასთან/შეცვლასთან/ამოღებასთან/გაერთიანებასთან/გაყოფასთან/ტექნიკური ხასიათის ცვლილებასთან/ტექნიკური უზუსტობის გასწორებასთან/დაკავშირებით სფეროს მარეგულირებელ შესაბამისი უწყებების/ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გაცემული წერილობითი პოზიციით.
7. დაშვების ან/და მიღების მოთხოვნები და პროგრესიის გზები ახალი სწავლის სფეროს საფუძველზე გაცემული კვალიფიკაციისათვის

ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის წევრების შესახებ.[3]

სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი და გვარი	სამუშაო ადგილი	პოზიცია	ელ. ფოსტა	ტელეფონი

[3] ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებლის შექმნის პროცესში ჩართულია ერთზე მეტი პირი.

დანართი N2

	ანალიზის დოკუმენტი	
1.	სფეროს დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე	
2.	სფეროს მიმოხილვა საქართველოში	1. არსებული საგანმანათლებლო პროგრამები (თხრობითი აღწერილობა): • პროგრამების მიზნები; • სწავლის შედეგები; • საფეხური; • კრედიტთა რაოდენობა; • პროგრამის სტრუქტურა; • მისანიჭებელი კვალიფიკაცია; • დასაქმების შესაძლებლობები; 2. რაოდენობრივი მონაცემები: • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტული მიმართულების პროგრამებს საფეხურების მითითებით; • სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ამ პროგრამებზე/მიმართულებაზე და მათი რაოდენობის ცვლილება ბოლო 3-5 წლის მანძილზე; • არსებობის შემთხვევაში კურსდამთავრებულთა (მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით) დასაქმების სტატისტიკა ბოლო 3-5 წლის მანძილზე, სასურველია უნივერსიტეტის მითითებით; • შესაბამის მარეგულირებელ უწყებებთან გამართული კონსულტაციების შედეგები და მათი პოზიცია სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სფეროს ამოღებასთან/ გაყოფასთან/გაერთიანებასთან დაკავშირებით და არსებობის შემთხვევაში შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. 3. საქართველოში არსებული სფეროს მარეგულირებელი აქტების მიმოხილვა, მათ შორის მანამდე არსებული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში)
3.	საერთაშორისო გამოცდილება (სფეროს მიმოხილვა არანაკლებ სამი ქვეყნის გამოცდილების მაგალითზე)	1. საგანმანათლებლო პროგრამები(თხრობითი აღწერილობა) • პროგრამების მიზნები; • სწავლის შედეგები; • საფეხური; • კრედიტთა რაოდენობა;

		• პროგრამის სტრუქტურა; • მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე; • დასაქმების შესაძლებლობები და პროფესიაში შესვლის წინაპირობები; 2. სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები (არსებობის შემთხვევაში)
4.	განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) დეტალური სწავლის სფეროს კოდი	კოდი და დასაბუთება (განათლების კლასიფიკატორში მოძიებული აღმწერი)
5.	დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)	(დასაქმების კლასიფიკატორში მოძიებული ძირითადი და შესაბამისი ჯგუფის აღმწერები, შესასრულებელი დავალებები, ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ, შესაბამისი პროფესიების ჩამონათვალი კოდების მითითებით)
6.	საქსტატის ეკონომიკური საქმიანობის სახეები	(ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი სახეების იდენტიფიცირება, შესაბამისი აღმწერით)
7.	რეკომენდაციები	თხრობითი აღწერილობა: • ძირითადი ძლიერი მხარეები და მიღწევები; • ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას; • განხილული საკითხების შეჯამება; • კონკრეტული რეკომენდაციების განსაზღვრა;
8.	დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	
9.	გამოყენებული წყაროები, აქტები	

დანართი N3

[უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დასახელება]
[უმაღლესი განათლების I ან/და II საფეხურ(ებ)ი]

მიღების/განახლების წელი

სარჩევი

I. შესავალი

შესავლის ნაწილში უნდა მიეთითოს უმაღლესი განათლების საფეხური და სწავლის სფერო, რომელსაც შეეხება მახასიათებელი. ასევე დოკუმენტის კონკრეტული მიზანი, რომელ(ებ)საც დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება ემსახურება. მიუთითეთ მისი გამოყენების შესაძლებლობები. შესავლის ნაწილში ასევე მიეთითება დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა. მოკლედ მიმოიხილეთ დოკუმენტი, აღწერეთ ის და მიუთითეთ რა საკითხებს მოიცავს. მიუთითეთ დარგობრივი მახასიათებლის დასახელება ინგლისურად.
მიუთითეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს მახასიათებლის შემუშავების ან განახლების საფუძველს (განახლებული მახასიათებლის შემთხვევაში მოკლედ აღწერეთ განხორციელებული ცვლილებები).

II. სწავლის სფეროს აღწერა

მოკლედ აღწერეთ სწავლის სფერო, მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები; საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და ძირითადი მახასიათებლები. აღნიშნული უნდა დაზუსტდეს უმაღლესი განათლების შესაბამისი დონის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის; არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ სწავლის სფეროები (და არა სასწავლო კურსები ან მოდულები), რომელსაც მოიცავს ეს სფერო ან კავშირი სხვა სფეროსთან/სფეროებთან (ინტერდისციპლინური სწავლის სფერო, შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე დეტალურ, ვიწრო ან/და ფართო სფეროს, ისევე როგორც მთელი რიგი სწავლის სფეროები ეფუძნება სხვა სწავლის სფეროებს). შესაძლებელია სფეროს/სფეროების კოდის/კოდების მითითება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე (დეტალური სფეროს 4 ციფრიანი კოდი);

რეგულირებადი პროფესიებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული რეგულაციებისა და დასაქმებასთან კავშირის მითითება (პროგრამაზე დაშვების პირობა, პროფესიაში შესვლის პირობა. მაგ.: კონკრეტული დარგის აკადემიური ხარისხი უმაღლესი განათლების საფეხურის მითითებით, ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა), მუშაობის აღიარებული სტაჟი და ა. შ.);
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დასახელების მითითება ყველა შესაძლო ფორმულირებით.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივ მახასიათებელში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს მოცემული სწავლის სფეროს ცოდნა-გაცნობიერებას და უნარებს, მათ შორის ტრანსფერულ უნარებს, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, როგორც ცოდნისა და უნარების ავტონომიურად და პასუხისმგებლობით გამოყენებას.

საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებადი პროფესიებისთვის, ასევე საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი პროფესიებისთვის, დარგობრივ მახასიათებელში განისაზღვრება ის აუცილებელი სწავლის შედეგები, რომელიც მოითხოვება შესაბამისი რეგულირებადი პროფესიის მქონე პირს.

მოცემულ თავში წარმოდგენილი სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე (მაგისტრატურა) საფეხურის შემთხვევაში უნდა ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე.

შენიშვნა: დაუშვებელია დარგობრივი მახასიათებლიდან საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების უცვლელი სახით გადატანა.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები

დოკუმენტის ამ ნაწილში აისახება დარგობრივი მახასიათებლით დაფარულ სწავლის სფეროში/სფეროებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები ყველა შესაძლო ფორმულირებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. უნდა აღინიშნოს განსხვავება ამ კვალიფიკაციებს შორის და კავშირი სწავლის შედეგებთან, თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორი ითვალისწინებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ერთზე მეტ ფორმულირებას.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

დოკუმენტის ამ ნაწილში აისახება სწავლება, სწავლა და შეფასების მიდგომები, ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა მიზანია საგანმანათლებლო პროგრამაში სფეროსთვის მნიშვნელოვანი სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა, პროგრამის განხორციელების მრავალფეროვნებისა და ინოვაციების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

რეგულირებადი პროფესიებისათვის (საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო მარეგულირებლების მიერ დადგენილი რეგულაციებით) შესაძლებელია სწავლება, სწავლა და შეფასების კონკრეტული და რიგ შემთხვევაში სავალდებულო მეთოდების გამოყენების დაფიქსირება.

VI. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია მიეთითება იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია აზუსტებს ზემოაღნიშნულ პუნქტებში მოცემულ ინფორმაციას (ინფორმაცია მარეგულირებლის შესახებ, რეგულირებადი პროფესიის პროფესიული სტანდარტის შესახებ და ა. შ.) ან პროგრამის

განხორციელებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. საჭიროების შემთხვევაში მიუთითეთ სხვა ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს პროგრამის სპეციფიკიდან, მაგრამ არ არის ასახული ზემოთ მითითებულ პუნქტებში. სურვილის შემთხვევაში მიუთითეთ კოდი დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორიდან (ISCO).

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრებში მიეთითება უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრების და არსებობის შემთხვევაში გარე ინიცირების ფარგლებში შემმუშავებელი ჯგუფის/სამუშაო ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია/დაწესებულება, თანამდებობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული ასოციაციების ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობასთან, პროფესიულ გაერთიანებასთან და სფეროში საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა რეგალიები.

7.1. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
...			

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრები[4]

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.			
2.			

[4] ივსება არსებობის შემთხვევაში

3.			
4.			
5.			
...			

დანართი N4

ინფორმაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს/უმაღლესი განათლების დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრობის კანდიდატის შესახებ

აღნიშნული ფორმის შევსებით დაწესებულება ადასტურებს, რომ საბჭოს წევრობის კანდიდატისაგან მიღებული აქვს ზეპირი ან/და წერილობითი თანხმობა საბჭოს/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის წევრობისა და მისი პირადი ინფორმაციის დამუშავებაზე უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს/დარგობრივი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ან ცენტრთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნებისთვის. [5]

წარმოდგენილი კანდიდატის სახელი, გვარი	
მინიჭებული კვალიფიკაცია: ბაკალავრი ან/და მაგისტრი ან/და დოქტორის სწავლის სფეროს მითითებით, როგორც მითითებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტში/დოკუმენტებში	
დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია/პოზიციები	
ტელეფონის ნომერი/ნომრები	
ელ/ ფოსტის მისამართი/მისამართები	

[5] ერთზე მეტი კანდიდატის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული ფორმა თითოეული კანდიდატისთვის ივსება ცალ-ცალკე.

დანართი N5

საბჭოს სხდომის ოქმზე საბჭოს მდივნისა და თავმჯდომარის წერილობითი დასტურის ფორმა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 202_ წლის N--------- ბრძანებით დამტკიცებული (მიუთითეთ საბჭოს დასახელება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარე/მდივანი (თავმჯდომარის/მდივნის სახელი და გვარი) ვადასტურებ რომ ვეთანხმები საბჭოს N (მიუთითეთ სხდომის ნომერი) სხდომის, N(მიუთითეთ ოქმის ნომერი) ოქმის შინაარსს.

სახელი, გვარი

თარიღი